

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი

მასობრივი კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგისტრო პროგრამა

საკითხები გასაუბრებისათვის

აპლიკანტი თავად ირჩევს საკითხს და წარმოადგენს საკუთარ მოსაზრებას კითხვა-პასუხის ფორმატით

1. ახსენით მასობრივი კომუნიკაციის როლი საინფორმაციო საზოგადოებაში.
2. როგორ რეგულირდება მედიის საქმიანობა საქართველოში, საჭიროა თუ არა დამატებითი რეგულაცია?
3. რა არის დემოკრატია, როგორ ვლინდება და რომელი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტების ხელშეწყობით ხორციელდება საზოგადოების ცხოვრებაში, რა როლს ასრულებს მედია მის განვითარებაში?
4. დაასახელეთ მსოფლიოს რამდენიმე წამყვანი დემოკრატიული ქვეყანა, ახსენით რატომ თვლით ასე.
5. რას გულისხმობს ხელისუფლების დანაწილების პრინციპი? რას ნიშნავს სამართლებრივი სახელმწიფო?
6. ტრადიციული და ახალი მედია, მედიის ევოლუციის პერსპექტივები.
7. აღწერეთ თანამედროვე საქართველოს მედიასივრცე, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.
8. აღწერეთ, თქვენი შეფასებით, საუკეთესო ტელეგადაცემა (ნებისმიერი თემატიკის) საქართველოს ტელესივრცეში, ახსენით რატომ მიიჩნევთ ასე.
9. აღწერეთ, თქვენი შეფასებით, საუკეთესო ტელეგადაცემა (ნებისმიერი თემატიკის) საერთაშორისო ტელესივრცეში, რატომ თვლით მას საუკეთესოდ?
10. დაასახელეთ, თქვენი შეფასებით, საუკეთესო ჟურნალისტი საქართველოს მედია სივრცეში, ახსენით რატომ თვლით ასე (გარეგნობა, იმიჯი, მანერა, მეტყველება, თემატიკა, ინტელექტი და ა.შ.).
11. რა ნიშნავს სიტყვის თავისუფლება? თქვენი აზრით, მსოფლიოს რომელ ქვეყანაშია ყველაზე მეტად დაცული სიტყვის თავისუფლება, რით გამოიხატება ეს (დაასახელეთ რამდენიმე ფაქტი)?
12. რა ნიშნავს საზოგადოებასთან ურთიერთობა, ახსენით საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მედიის ურთიერთკავშირის ასპექტები.
13. ახალი ტექნოლოგიები საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში.
14. ახსენით რას ნიშნავს სამოქალაქო საზოგადოება.

შენიშვნა: პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ერთი სემესტრი ისწავლონ პარიზის ჟურნალიზმის უმაღლეს სკოლაში (ინგლისურად ან ფრანგულად) და,

პროგრამის დასრულების შემდეგ, მიიღონ გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტისა და პარიზის უმაღლესი სკოლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და დიპლომი.